შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.722)

5-12 მარტი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პრობლემა ერთობლივი გზით გვარდება

გვ.8

ბიზნეს იდეიდან – წარმატებულ ბიზნესამდე

გვ.4

გვ.3

ქალი და თანამედროვეობა

პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით, ქართველი ქალები კვლავ რჩებიან მსხვერპლნი იმ საზოგადოების, სადაც კაცებს უპირატესობა აქვთ ყველა თვალსაზრისით. ტრაგედიების დროსაც კი საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმაზე მსჯელობს, რისთვის დაისაჯა სიკვდილით ქალი, მსხვერპლი რამეში დამნაშავე ხომ არ იყო?! ეს ჯერ კიდევ ერთი დიდი პრობლემაა, რომლის გადალახვასაც თანამედროვე საზოგადოება ჯერ-ჯერობით უშედეგოდ ცდილობს...

ნაქარგებში ჩაქსოვილი ხევსურული ბალადა

გვ.5



გვ.6

სოფიოს ბლოგი

„და იყო სიტყვა“



გვ.6

ისტორიული ხელშეკრულება „სოკართან“ და კალაძის მკაცრი შეთავაზება „გაზპრომს“

გვ.7

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილი - „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვნად განახლდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პარტია „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“ მნიშვნელოვნად განახლდება და ერთიანი მიზნების გარშემო კონსოლიდაცია მოხდება.

„იმ შემთხვევაში, თუ კოალიციურ ფორმატში მოხდება არჩევნებზე გასვლა, გუნდი რომელიც შეიკრიბება, გაერთიანდება ძალიან მკაფიო მიზნების გარშემო. ეს მიზნები იქნება, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული ჩვენს მთავარ ფასეულობებსა და ტრადიციებზე და, რათქმაუნდა იქნება, კონსესუსი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალზე“, — აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერი „რესპუბლიკურ პარტიასთან“ გუშინ გამართულ შეხვედრას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი პროცესია, თუმცა მთავრობა საკუთარ გადაწყვეტილებებში ერთიანი უნდა იყოს.

„ძალიან საქმიანი საუბარი შედგა გუშინ „რესპუბლიკური პარტიის“ რამდენიმე ლიდერთან, სადაც ვისაუბრეთ, რომ პარტნიორობა „ქართულ ოცნება—დემოკრატიულ საქართველოსა“ და „რესპუბლიკურ პარტიას“ შორის არის მნიშვნელოვანი. გარკვეული შეთანხმებები რათქმაუნდა მისაღწევი იქნება წინასაარჩევნო პროცესში, თუმცა კოალიცია არის მრავალპარტიული და თუ „ქართული ოცნება“ მრავალპარტიულ ფორმატში წარსდგება წინასაარჩევნოდ, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ორმხრივად იქნება მიღწეული, შემდგომ მრავალმხრივ ფორმატში უნდა დადასტურდეს. არჩევნებამდე ვაგრძელებთ კოალიციურ ფორმატში მუშაობას. მთავრობას უმნიშვნელოვანესი მიზნები გვაქვს მისაღწევი, ბევრი ამოცანაა გადასაჭრელი და მთავრობის მონოლითურობის ხარისხი გაცილებით მაღალი უნდა იყოს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, მთავრობამ მაქსიმალური ფოკუსირება უნდა მოახდინოს იმ ამოცანებზე, რომელიც მოსახლეობას აქვს და რომელიც ქვეყნისთვის აქტუალურია.

მთავრობა პროგრამას „უმასპინძლე საქართველოში“ იწყებს

რეგიონებში სასტუმრო სექტორის განვითარების მიზნით, სახელმწიფო პროგრამა „უმასპინძლე საქართველოში“ იწყება. პროგრამის პრეზენტაცია პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გამართა.

გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში როგორც ახალი, ასევე არსებული სასტუმროების გაფართოება მოხდება.

„დღევანდელი პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. ჩვენ გვაქვს ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. უკანასკნელ რამდენიმე თვეში განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი ამ დინამიკას, რომელიც მართლაცდა ძალიან სასიხარულოა. ამ პროგრამის მიხედვით, რეგიონებში ბიზნესსწრეების წარმომადგენლებს, ჩვენს მოსახლეობას ექნება საშუალება ახალი სასტუმრო კომპლექსები დააფინანსონ სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფო მოახდენს ამ პროექტების თანადაფინანსებას“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის განმარტებით, პროგრამის ფარგლებში მსურველები „ფრანჩაიზის“ ხელშეკრულებას გააფორმებენ საერთაშორისო ბრენდებთან და სახელმწიფო ამ ხელშეკრულებების თანადაფინანსებასაც მოახდენს.

მიწის აზომვა ახალი რეგულაციებით მოხდება

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მიწის აზომვა მალე ახალი რეგულაციებით მოხდება, რომელიც მოქალაქეს საშუალებას მისცემს, მარტივად დაირეგისტრიროს მიწა. პროექტზე მუშაობა ეკომონიმიკისა და იუსტიციის სამინისტროებს უკვე დაწყებული აქვთ.

წულუკიანის თქმით, კომპლექსური პროექტის მიზანი კერძო საკუთრებაში მიწების დარეგისტრირების წახალისება და გამარტივებაა.

„ჩვენ ვასრულებთ მუშაობას მნიშვნელოვან პაკეტზე, იმისთვის, რომ ჩვენმა გლეხებმა, ფერმერებმა, კერძო პირებმა შეძლონ, უფრო მარტივად დაირეგისტრირონ ის მიწები, რომელთაც აქამდე საბუთების ნაკლებობის, ხარვეზების, სხვა პროცედურების ან, თუნდაც, საფასურების გამო ვერ ირეგისტრირებდენ“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

წულუკიანის თქმით, მიწის რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორი აზომვითი ნახაზის შედგენაა. მინისტრი 400-მდე კერძო საამზომველო კომპანიის წარმომადგენელს შეხვდა და განაცხადა, რომ სამინისტროს მიწის აზომვის ერთიანი სტანდარტის შექმნა სურს.

„ზოგიერთი ამზომველი 20 ლარს ართმევს ჩვენს გლეხს, ზოგიერთი კი 500-ს. ეს ძალიან დიდი ტვირთია. ამზომველები, რომლებიც ამ პროექტში სახელმწიფოს პარტნიორები უნდა იყვნენ, დღეს, სამწუხაროდ, ზომავენ მიწას სხვადასხვა ხელსაწყოთი, ზოგი ტელეფონით რაც მაინცდამაინც მისაღები არ არის, ზოგი ძველებური მოწყობილობებით, ზოგი ე.წ. ჯიპიესით, იმიტომ, რომ არ არსებობს ერთიანი სტანდარტი“, - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ქართველმა მეწარმემ ქვევრში დამზადებული ვისკი დააპატენტა

საოჯახო დისტილერის მფლობელმა ალეკო კვერნაძემ ქვევრში წარმოებული ვისკი საქპატენტში დააპატენტა. მისი თქმით, ქვევრში გამოხდილი ვისკის გაწმენდა დისტილაციის აპარატის საშუალებით ხდება, რაც სასმელს რახის ზეთებისგან ათავისუფლებს, სპირტის გემოვნურ თვისებებს ართმევს და ქვევრის უნიკალურ გემოს აძლევს.

„თავიდან ექსპერიმენტი კეთდებოდა, გვაინტერესებდა რა შედეგს მივიღებდით. ქვევრში გამოხდა თვითმიზანი არ ყოფილა. თიხა, რისგანაც ქვევრს ამზადებენ, ძლიერ კატალიზატორს წარმოადგენს და მისი საშუალებით ხდება სპირტის გაწმენდა დიდ ტექნოლოგიებში. ექსპერიმენტის შედეგად საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ მიღებული პროდუქტი რახის ზეთებისაგან აბსოლუტურად თავისუფალია, და ძალიან კარგი გემო აქვს. ქვევრში დამზადებული ვისკის უნიკალური თვისებები ის არის, რომ სუფთაა, სპირტს საკმაოდ მაღალი გემოვნური თვისებები აქვს, ქვევრში მაქსიმალური ფილტრაცია ხდება და თვითონ ჭურჭელი აძლევს უნიკალურობას. ჯერჯერობით ამ მიმართულებით კვლევა არ გვაქვს, მაგრამ ალბათ ქვევრის ფორმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დისტილაციის აპარატურა საკმაოდ ძვირი ღირს, რადგან უმაღლესი ხარისხის სპილენძისგან არის დამზადებული და რამდენიმე ათასი დოლარი ღირს“,- განაცხადა ალეკო კვერნაძემ „საქმიან დილაში“.



ალეკო კვერნაძემ ქვევრში ვისკის წარმოება 2 წლის წინ დაიწყო. მისივე თქმით, ვისკის დაძველებისთვის თეთრი მუხის კასრებს გამოიყენებენ.

„ჩვენ ბაზარზე ახალი გამოჩენილები ვართ და ძალიან გვინდა კონკურენცია გავუწიოთ არაყს, რომელიც წყლისა და სპირტის ნაზავია და მეტი არაფერი. ვისკი მარცვლეული არყის გამოხდითაც მიიღება, შემდეგ მისი დაძველება მუხაში ხდება. გვსურს ბურბოლის მიმართულებით წავიდეთ და თეთრ მუხაში დავაძველოთ ჩვენი ვისკი“,- აღნიშნა ალეკო კვერნაძემ.

პრემიერი: აბსოლუტურად მიუღებელია ბრალდებები ფსევდოტრადიციულ ღირებულებებზე

მინდა, მთელი მთავრობის სახელით მხარდაჭერა გამოვუცხადო განათლების მინისტრს საგან „მე და საზოგადოების“ დანერგვაში. ასევე მინდა, მას მოვუწოდო, რომ მაქსიმალურად გახსნას განათლების სამინისტროს კარი ნებისმიერი ასეთი დიალოგისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ის ბრალდებები და ინსინუაციები ფსევდოტრადიციულ ღირებულებებზე, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, არანაირი კავშირი ამ საგანსა და ამ სპეკულაციებს შორის არ არსებობს. ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ, თუკი რაიმე ასეთი რისკი შეიძლება იყოს ამ განხილვების პროცესში. ნებისმიერი ასეთი საკითხი, რომელიც შესაძლოა მომავალში წამოიჭრას, უპირველეს ყოვლისა, განხილული უნდა იქნას მთავრობაში და შემდეგ უკვე გუნდურად გამოითქვას მხარდამჭერი განცხადებები იმიტომ, რომ ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, ვაკეთოთ ის, რაც სწორია და აბსოლუტურად გაბედული ნაბიჯებით განვახორციელოთ ის პროგრამები, რომლებიც ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

საგნის „მე და საზოგადოების“ სწავლება სკოლებში 2017-2018 წლიდან დაიწყება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, ახალი საგნის “მე და საზოგადოების” სწავლება სკოლებში 2017-2018 აკადემიური წლიდან დაიწყება.

თამარ სანიკიძემ მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ ის მიზეზები განმარტა, თუ რატომ გახდა აუცილებელი სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლების დაწყება.

“პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ნაბიჯი და მითუმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის ბენეფიციარიც არის ძალიან ბევრი ახალგაზრდა, მართლაც იყოს შეჯერებული და პოზიცია ჩამოყალიბებული. ასეთი პოზიცია ვერ იქნებოდა, თუ არ იქნებოდა შესაბამისი არგუმენტაცია, რატომ და როგორ ვაკეთებთ, რამდენად საჭიროა. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვიხილავდით იმ კვლევის შედეგებს და მათ შორის, სავალალო შედეგებს, რომელიც გვქონდა ამ კუთხით ახალგაზრდებთან მიმართებაში. სწორედ ეს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედარებითი ანალიზი იყო მიზეზი, რამაც გვაფიქრებინა, რომ უმჯობესია გარკვეულ საკითხებზე აქცენტი გაკეთდეს ასეთი სტრუქტურით და არ დავრჩეთ იმ სტრუქტურით, რომლითაც დღეს ეს საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში ისწავლება. არაერთი განხილვა, ანალიზი გაიმართა და მივედით იმ წერტილამდე, როდესაც ჩვენ გარე რეფერირებაც კი ჩავატარეთ და სხვადასხვა დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან წერილობითი რეცენზიები მოვითხოვეთ. ამ მომენტისთვის მიღებული რეკომენდაციები მუშავდება”, - განაცხადა სანიკიძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული საგნის სტანდარტი განიხილა უმაღლესმა სასწავლებლებმა, საჯარო სკოლებმა, ასევე ეროვნულმა აკადემიამ.

“დამერწმუნეთ, არც ერთ რეკომენდაციაში არ არის მითითება იმაზე, რომ ტექსტში რამე დისკრიმინაციულს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ანუ ის მომენტი, რაზეც ეს ადამიანები ამდენი ხანია აპელირებენ”, - განაცხადა სანიკიძემ.

განათლების მინისტრის თქმით, არის უფრო პროფესიონალური და მეთოდური რეკომენდაციები, რომელიც დამუშავდება და შესაძლოა, საბოლოო ვერსიაში აისახოს.

“ალბათ, ერთი კვირის სამუშაო კიდევ გვექნება, რათა საბოლოო სურათი დავდოთ და ვთქვათ, საჭიროებს თუ არა მეთოდური და პროფესიული თვალსაზრისით ამ საგნის სტანდარტი გადამუშავებას”, - განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, შემდეგ დაიწყება მუშაობა სახელმძღვანელოზე, მასწავლებლებისთვის გადამზადების მოდელის შექმნაზე, მეთოდური მოდელის შემუშავებაზე და ა.შ.

რაც შეეხება ვადას, თუ როდის დაიწყება სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლება, თამარ სანიკიძის თქმით, თავიდანვე დაგეგმილი იყო, რომ ახალი საგანი ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდოდა და სკოლები მის სწავლებას 2017-2018 აკადემიური წლიდან დაიწყებდნენ.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ძვირფასო ქალბატონებო, გვინდა გაზაფხულის დადგომა და ქალთა დღესასწაულები მოგილოცოთ. საქართველოში ოდითგანვე მაღალ რანგში იყო აყვანილი ქალის კულტი. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს ქალი-მეფე ჰყავდა, მმართველი, რომელმაც ოქროს ხანა შექმნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ის ჩვენი ერისთვის ქალის ღირსებისა და ძლიერების სიმბოლო და მაგალითია დღემდე.

ქალების მთავარი მისია დედობაა, შვილების ღირსეულ ადამიანებად აღზრდა. ასე იყო ოდითგანვე საქართველოში, დედა მხოლოდ გმირების გამზრდელი კი არ იყო, არამედ უშუალო მაგალითის მიმცემიც.

ქართველ ქალბატონებს კვლავ ისტორიული მისია გაკისრიათ, თქვენ უნდა აღზარდოთ ისეთი მომავალი თაობა, ქვეყნის მართვის მძიმე ტვირთს ღირსეულად რომ გადაიბარებს და იმ ტრადიციებსაც შეინარჩუნებს, რაც ჩვენი ერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს და მთელ მსოფლიოს აღაფრთოვანებს.

ხელისუფლების მოვალეობაა, ყველანაირად ვიზრუნოთ თქვენზე. ჩვენ ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში ვიზრუნოთ და დავეხმაროთ გაჭირვებულ ქალბატონებსა და მათ ოჯახებს. ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ვიზრუნოთ თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობის დაცვაზე, უსაფრთხოებაზე...მომავალში კიდევ ბევრ სასიამოვნო სიახლეს ვგეგმავთ, რომელიც ჩვენი მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების ზრდას შეუწყობს ხელს. მინდა, ყველას გისურვოთ მხნეობა, ჯანმრთელობა, წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. თქვენს ხელთაა ერის მომავალი. გილოცავთ მარტის მშვენიერ დღესასწაულებს, გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას, ბედნიერი დღეების სიმრავლეს!

პატივისცემით, ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ქალბატონებო, გაზაფხულის შემობრძანებას და ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ეს ორი ულამაზესი დღესასწაული გაზაფხულზე აღინიშნება. გაზახფული ხომ სიცოცხლის დასაწყისისა და განახლების სიმბოლოა, თანაც ისეთივე მისტიური და სასურველი, როგორც ქალი.

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ქალის როლი გაცილებით საპასუხისმგებლო , საპატიო, გამორჩეული და დაფასებულია. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ამ ქვეყნის შვილები ქალის, განსაკუთრებით კი დედის სახელს, მრავალი მნიშვნელოვანი სიტყვის შემადგენელ ნაწილად ვიყენებთ : დედაენა, დედაბოძი, დედაქალაქი, დედააზრი და სხვა.

„ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადა“... ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო“ - ამბობდა ვაჟა და ეს სიტყვები სრულიად საკმარისია იმ დამოკიდებულების გადმოსაცემად, რომელიც ქართველებს ყოველთვის გაგვაჩნდა დედის მიმართ.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ქალბატონების პატივისცემას საუკუნეების ტრადიცია აქვს და მას არ სჭირდება ქუჩის აქციებითა და პეტიციებით ბრძოლა, როგორც ეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხდება.

დედებო, დებო, ბებიებო, მეუღლეებო და უბრალოდ, მშვენიერო ქალბატონებო, ჩემს კოლეგეთან ერთად კიდევ ერთხელ გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სილამაზეს, სილაღესა და ბედნიერებას...

ზვიად ჯავახიშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქალი და თანამედროვეობა

მას ჰყავდა ორი შვილი, ერთი ძაღლი და ერთიც ქმარი. ქონებით კი უამრავი რამ ჰქონდა: საკუთარი მცირე ბიზნესი, ტანსაცმლის მაღაზია პრესტიჟულ უბანში პრესტიჟული კლიენტურით, მის სახელზე გაფორმებული უზარმაზარი აუზიანი სამსართულიანი სახლი და ძვირფასეულობით სავსე სკივრი... ღამ-ღამობით ნახევრად ცარიელ ქუჩებში დააქროლებდა ძვირადღირებულ მანქანას. მიუხედავად ამისა, ჰქონდა სევდიანი თვალები, ატარებდა ნაცნობების შურიან მზერას და დამცინავ ქირქილს მისი ქმრის სასიყვარულო ისტორიების გამო.

ქმარი უყვარდა. ქმარი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების გამო თვეობით იმყოფებოდა ევროპის ქვეყნებში და შინ დაბრუნებული სულ უფრო და უფრო ამტკიცებდა იმ განცდას, რომ ათწლიანმა ცოლ-ქმრულმა ცხოვრებამ სრულად ამოწურა ქალისადმი ინტერესი. ოჯახი იძულებითი ვალდებულება გამხდარიყო. ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო ასეთი ცხოვრება. დედამისიც ხომ ხუჭავდა თვალს მსგავს სიტუაციებში. ამიტომაც ინარჩუნებდნენ ოჯახებს. სხვაგვარად შეუძლებელი იყო. სკანდალების ინსცენირება დედის ცრემლებით სრულდებოდა. ეს კარგად ახსოვდა.

არადა, ქმარი ძალიან უყვარდა, ამიტომაც ტანჯავდა ღალატი. მაგრამ ყველა ხომ ასე ცხოვრობდა. მისი მეგობარი ქალებიც. ყავის დასალევად შეკრებილები, ციინიზმით რომ ლაპარაკობდნენ მათ დროებით მეტოქეებზე. ამ ტკივილის გადალახვაში დედის დარიგებაც ეხმარებოდა: „თუ საგანი ან პიროვნება შენ გეკუთვნის, არ უნდა გეშინოდეს მათი დაკარგვა, რადგან აუცილებლად დაგვიბრუნდებიან“-ეს ჩინური სიბრძნეა საგნების დაკარგვის თაობაზე.

იცოდა, რომ ეჭვიანობით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ უყრუებდა ღამის სატელეფონო ზარებსა თუ ქმრის ყურმილში ჩურჩულს. ის ხომ პატრიარქალური საზოგადოების რიგითი წევრი იყო, მდედრი, რომელიც უპირატესობას მამრობით სქესს ანიჭებს, ამიტომაც ნება უნდა ებოძა და სხვა ცოლებივით დახუჭობანა ეთამაშა შესაბამის ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

მაგრამ, საკმარისი იყო ქუჩაში მოსეირნე წყვილი დაენახა, ერთმანეთს მოსიყვარულე თვალებით რომ შესცქეროდნენ, რომ გული ტკივილისგან ეკუმშებოდა. ეს მისთვის დიდი ხანია, მოგონებად ქცეულიყო. მის ხელმოწერილ მეუღლეს კი ეს სულაც არ ანაღვლებდა. გაციებული ურთიერთობის გამო იოტისოდენა სინდისის ქენჯნასაც კი არ გრძნობდა. მთავარია, მის ცოლ-შვილს ეკონომიურად არაფერი აკლდა, დანარჩენი მეორეხარისხოვანი იყო. ცოლის უკმაყოფილო რეპლიკებზე არ რეაგირებდა და მასთან გატარებული დროის დეფიციტის გამო დამნაშავედ „საქმეები“ გამოჰყავდა. „მე ხომ ამდენს იმიტომ ვმუშაობ, რომ თქვენ ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყოთ“-აი პასუხი, რომელიც ყოველთვის ერთნაირი იყო.

ქალს კი მატერიალურზე მეტად სითბო სჭირდებოდა, სულ მცირეოდენი სითბო, გულს რომ გაუთბობდა... ქმარს ეს არ ესმოდა. მართალია, ეკლესიაში ხშირად ვერ დადიოდა, მაგრამ მართლმადიდებელი იყო და საუბარში ბიბლიურ ცოდნასაც იყენებდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ცოლის ღალატი ცოდვად არ მიაჩნდა.

მსგავსი ისტორია არაერთია საქართველოში. ეს ქართველი ქალის ტვირთია. ამ ტვირთისა და ნაღვლიანი თვალების მიღმა, ისინი ცდილობენ, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დარჩნენ, დადგნენ თავიანთ პირად ტკივილზე მაღლა და იყვნენ საუკეთესო დედები თავიანთი შვილებისთვის, ისევ მათ იზრუნონ ოჯახის ღირსების დაცვაზე...

თუმცა,ასეთ ფსევდოოჯახებში არსებულ სიტუაციას გრძნობენ შვილები, განიცდიან და ხშირად გაქცევით ცდილობენ უშველონ თავს. ბავშვი, რომელიც მამის სითბოს მოკლებულია, სხვაგან ცდილობს მის შევსებას. ეს მცდელობა ზოგჯერ კრახით მთავრდება...

საქართველოში ბევრი რამე იცვლება, თუმცა, ქალისადმი პატივისცემა ხშირად სუფრის სადღეგრძელოებს არ სცდება, სწორედ ამას მოწმობს ბოლო წლებში ყოფილი თუ მოქმედი ქმრების მიერ მოკლული ქალების რიცხვი, რომელთა უმრავლესობას ყოფილმა მეუღლეებმა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ვერ აპატიეს...

პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით, ქართველი ქალები კვლავ რჩებიან მსხვერპლნი იმ საზოგადოების, სადაც კაცებს უპირატესობა აქვთ ყველა თვალსაზრისით. ტრაგედიების დროსაც კი საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმაზე მსჯელობს, რისთვის დაისაჯა სიკვდილით ქალი, მსხვერპლი რამეში დამნაშავე ხომ არ იყო?! ეს ჯერ კიდევ ერთი დიდი პრობლემაა, რომლის გადალახვასაც თანამედროვე საზოგადოება ჯერ-ჯერობით უშედეგოდ ცდილობს...

პოპულარული სატელევიზიო სერიალის „გრეის ანატომიის“ შემქმნელი შონდა რაიმსი ცოტა ხნის წინ გამოსულ წიგნში „ჲეარ ოფ ჲეს“ იხსენებს ეპიზოდს, სადაც სერიალის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პერსონაჟი ქალი, ქრისტინ იანგი თავის მეგობარს, ასევე ძლიერ ქალს, მერედით გრეის მის ქმარზე ეუბნება: „არ მისცე საშუალება, შთანთქას ის, რაც შენ გჭირდება. ის მეოცნებეა, მაგრამ მზე არ არის. მზე შენ ხარ.“

გილოცავთ, ქალბატონებო, გაზაფხულს და გისურვებთ, ყოველთვის ყოფილიყავით ბედნიერი დედები და ქალები. გახსოვდეთ, თქვენ ხართ სამყაროს ცენტრი, მზე, თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ცხოვრების შეცვლა სასიკეთოდ...

ინგა შიოლაშვილი

ბიზნეს იდეიდან - წარმატებულ ბიზნესამდე



2016 წლის 15 თებერვლიდან 31 მარტამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგიონის მოსახლეობას კვლავ ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი ბიზნეს იდეა ვებგვერდის მეშვეობით www.qartuli.ge და ჩაერთოს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში.

2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს რეგიონებში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქარველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5000 ლარამდე 1 მეწარმე, 10000 ლარამდე 2 მეწარმე, 15000 ლარამდე 3 მეწარმე).

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის კოორდინატორები მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობას ხვდებიან და დეტალურ ინფორმაციას აძლევენ პროექტთან დაკავშირებით. ამჯერად ისინი დედოფლისწყაროს ქედების ზონის მოსახლეობას ზემო ქედის კულტურის სახლში შეხვდნენ. პროგრამაში ჩართვის და განხორციელების ყველა დეტალი დაინტერესებულ პირებს **მალხაზ შუბითიძემ** გააცნო. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ბიზნეს იდეის წარდგენა ვებგვერდზე qartuli.ge აპლიკაციის ფორმის შევსების გზით;
- ბიზნეს გეგმის წერის ტრენინგი;
- დამუშავებული ბიზნეს გეგმის წარდგენა;
- საბოლოოდ არჩეული ბიზნეს გეგმების თანადაფინანსება;
- ბიზნესის კეთებისათვის საჭირო ტრენინგი და ინდივიდუალური კონსულტაციები.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის მეორე რაუნდში იგეგმება მინიმუმ 1500 ბენეფიციარის დაფინანსება და 3000-მდე ბენეფიციარის გადამზადება.

ზოგადად პროგრამის ეფექტურობას ცხადყოფს პირველი რაუნდის მონაცემებიც, რომლის ფარგლებშიც უკვე დაფინანსებულია 1620 ბენეფიციარი, ამასთანავე ტრენინგი გაიარა 3118 ბენეფიციარმა.

პოტენციური ბენეფიციარების მხრიდან პირველადი განაცხადების წარდგენა ხდება ონლაინ რეჟიმში www.qartuli.ge, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს კონკრეტული ბიზნეს იდეა.

ბიზნეს იდეების კონკურსში მონაწილეობა

- კონტრაქტორის მხრიდან განაცხადების განხილვა და კონკურსის მეორე ეტაპზე გადაყვანა.
- საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაიარონ სპეციალური ტრენინგი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სასწავლო მასალების დახმარებით, შეადგინონ ბიზნეს გეგმა.
- კონკურსის წესით საუკეთესო ბიზნეს გეგმის ავტორები მოიპოვებენ თანადაფინანსებას.

თანადაფინანსების თანხის ათვისება დაუშვებელია:

- რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობების დასაფინანსებლად.
- საბრუნავ საშუალებებში, მიმდინარე ხარჯებში, მათ შორის ტრანსპორტირება, საწარმოო ზედნადებ დანახარჯებში, სასაქონლო მატერიალურ მარაგებში.
- ბიოლოგიურ, აქტივების შესაძენად, რომელიც გამიზნულია აღნიშნული აქტივების ერთჯერადი გადაყიდვის/ვაჭრობის მიზნით.
- სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად ადამიანების გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დამსწრე საზოგადოებამ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო პროექტის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გაზეთი „შირაქი“ ესაუბრა იმ მეწარმეს, რომელმაც პროგრამაში მონაწილეობის შედეგად დაფინანსება მიიღო და ბიზნესიც დაიწყო.

***

ალექსანდრე აფციაური ზემო ქედში ცხოვრობს. აქ დაიბადა და გაიზარდა. კარგად იცის, რა უჭირთ და ულხინთ თანასოფლელებს, და არა მარტო მათ. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ცდილობს, საკუთარი საქმე ჰქონდეს და ოჯახის რჩენა თვითონ შეძლოს. რამდენიმე წლის წინ ამ მიზნით სამშენებლო მასალების მაღაზია გახსნა სოფელში. ქედების ზონის მოსახლეობას სამშენებლო მასალების შესაძენად დედოფლისწყაროს ადმინისტრაციულ ცენტრში უხდებოდა სიარული, რაც ტრანსპორტირების თანხებთან ერთად დროის ხარჯვასთანაც იყო დაკავშირებული. მაღაზიამ ბევრს დამატებითი ხარჯი შეუმცირა. ბიზნესის გაფართოების მიზნით პროექტით „აწარმოე საქართველოში“ დაინტერესდა და პირობების გაცნობის შემდეგ ბიზნეს-გეგმაც შეადგინა.

-ბევრი ამ პროექტს სკეპტიკურად უყურებდა, მიაჩნდა, რომ ჩაწყობის გარეშე მასში გამარჯვება წარმოუდგენელი იყო. თქვენ არ გაგჩენიათ მსგავსი განცდა? - ვეკითხები.

– „კი, თავიდან მეც ეჭვის თვალით ვუყურებდი ამ პროექტს, მაგრამ მასში მონაწილეობის გადაწყვეტილება მაინც მივიღე. როგორც ამბობენ, გავრისკე, ამ რისკმა კი გაამართლა“-მეუბნება ის და დასძენს, რომ ცხოვრებაში რისკის გარეშე ფონს ვერ გახვალ, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში... დღეს რეკომენდაციას სხვა ადამიანებსაც უწევს, ეუბნება, რომ ეს საუკეთესო შანსია საკუთარი ბიზნეს-წარმოების შესაქმნელად...

მან კარგად იცის, რომ თანამედროვე კონკურენციის პირობებში, იმისთვის რომ ბიზნესმა გაამართლოს, გასაღების ბაზრის მოძიებაზე წინასწარ უნდა იზრუნო. პროდუქციის წარმოებასთან ერთად ეს აუცილებელი ფაქტორია. „კარგად ვიცოდი, რომ ზემო ქედელები და ზოგადად, ამ ზონის მოსახლეობა, მევენახეობას მისდევს. ბეტონის სარებზე დიდი მოთხოვნაა. ამიტომ გადავწყვიტე, პროექტი სწორედ ბლოკებისა და ბეტონის სარების წარმოებაზე წარმედგინა“-ამბობს ალექსანდრე.

საწარმომ ფუნქციონირება უკვე დაიწყო. მასში ოთხი ადამიანია დასაქმებული და, როგორც ალექსანდრე ამბობს, შეკვეთებს ვერ აუდიან. ახალ შემკვეთებს კი ხუმრობით პასუხობს, რომ მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, რიგში ჩადგომა მოუწევთ...

ალექსანდრეს გათვლებით, საწარმო მოგებაზე იმუშავებს და რამდენიმე წელში წარმოებას გააფართოებს, რაც, თავისთავად, მეტი მუშახელის დასაქმებასაც ნიშნავს.

ინგა შიოლაშვილი

სილქნეტის დედოფლისწყაროს ფილიალის ტექნიკური ჯგუფის ყველა თანამშრომელი გაათავისუფლეს

ამ დღეებში კომპანია „სილქნეტის“ სერვისცენტრის უფროსს ზურაბ ჯორკოშვილს ბრძანება მოუვიდა, სადაც ეწერა, რომ კომპანიამ 1 მარტიდან მათი ჯგუფი მთლიანად გაანთავისუფლა, ამცირებს სერვისცენტრის თანამშრომელთა ჯგუფს და მხოლოდ ერთ თანამშრომელს სტოვებს. როგორც გაირკვა, ერთადერთი თანამშრომელი, რომელიც ინტერნეტმომხმარებელს მოემსახურება სერვისცენტრიდან, ამ დარგის საუკეთესო მუშაკი, წლების გამოცდილი სპეციალისტი გიორგი ღამაზოშვილი დატოვეს. დანარჩენ პრობლემებზე დედოფლისწყაროს მოსახლეობას სიღნაღის სერვისცენტრის ჯგუფის გამოძახება მოუწევს. მოსახლეობის აზრით, მათ სილქნეტის ინტერნეტმოსახურებას იმხელა შეფერხებები ჰქონდა აქამდეც, რომ რაიონს სამი თანამშრომელიც არ ჰყოფნიდა, ერთი, მით უმეტეს. ისინი სიღნაღის სერვისცენტრის ჯგუფის გამოძახებას აპროტესტებენ და მოითხოვენ, დედოფლისწყაროში დარჩეს ტექნიკური მომსახურების სამსახური. როგორც ირკვევა, თავად სიღნაღის სერვისცენტრის უფროსიც არ ეთანხმება დედოფლისწყაროზე მომსახურებას და აცხადებს, რომ ის ვერ გასწვდება ორ რაიონს.

ამ საკითხზე ამ დღეებში „შირაქის” რედაქციას კომპანია „სილქნეტის” დედოფლისწყაროს ფილიალის ყოფილმა უფროსმა, დედოფლისწყაროს საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობმა ავთანდილ მჭედლიშვილმა დაურეკა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ავთანდილი უკვე აღარაა ამ სამსახურის თანამშრომელი და ის კერძო საქმიანობითაა დაკავებული მშობლიურ სახლში, ის აპროტესტებს დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მთლიანად გაუქმებას.

— „ გააგებინეთ ყველა ჟურნალისტს, ატეხეთ ხმაური, გააკეთეთ ყველაფერი, სთხოვეთ გამგებელს, გუბერნატორს, ყველას, რომ ეს არ დაუშვან. „სილქნეტის“ სერვისჯგუფის გაუქმება,ძალიან დიდ დისკომფორტს შეუქმნის რაიონის ინტერნეტით მოსარგებლე მოსახლეობას და არამარტო მათ. ეს რაიონის იმიჯის საქმეა. „სილქნეტის“ ოფისის შენობა, რომელსაც ადრე გაერთიანებული ტელეკომუნიკაციის შენობა ერქვა, ჩემს ხელში აშენდა, ეგ ჩვენი ორგანიზაციის ქონებაა, ვიღაცას ახლა აწყობს, ქონება მიიტაცოს, რაღაცაში გამოიყენოს და ამიტომ აკეთებს ამ ყველაფერს, როგორ შეიძლება სერვისცენტრის ტექნიკური სამსახური ერთ თანამშრომელზე დაიყვანონ. სასამართლო დედოფლისწყაროს აღარ აქვს, პროკურატურა აღარ აქვს, ნოტარიუსი ფაქტიურად აღარაა, ხალხი წნორსა და სიღნაღში დადის საქმის მოსაგვარებლად, ასე ხომ დედოფლისწყაროს რაიონში აღარცერთი ორგანიზაცია აღარ დარჩება?! მთელი გადამცემი სადგურები, რომელიც თბილისს, სიღნაღს, ლაგოდეხს და თელავს უკავშირდება, მანდაა, როგორ შეიძლება ის გააუქმონ. რაიონი აღარ უნდა არსებობდეს?! ერთმა თანამშრომელმა რას უნდა გაართვას თავი?! მართალია, მანდ აღარ ვარ, მაგრამ ეგ სამსახური ჩემთვის, როგორც ჩემი სხეულის ნაწილი, ისეა, გული მტკივა მაგ სამსახურის ირგვლივ რაც ხდება“. -ამბობს ყოფილი უფროსი ავთანდილ მჭედლიშვილი.

„სილქნეტის“ ტექნიკური ჯგუფის გათავისუფლებას აპროტესტებს მოსახლეობაც, „-ერთი თანამშრომელი რომ დატოვონ და ის რომელიმე გამოძახებაზე გავიდეს, მაგალითად სოფელში, სხვასაც რომ დასჭირდეს, სოფლიდან მის მოსვლას უნდა ელოდნენ?! ეს ერთადერთი ქსელია, რომელიც სტაბილურადაა დედოფლისწყაროში შემოსული და დამკვიდრებული, ხშირად გვიზიანდება ხაზები, ბლოკები და ათასი რამ, როდესაც მთელი ჯგუფი მოდის და გვემსახურება, აკეთებენ, დაზიანებას იკვლევენ და მართავენ მთლიანად სისტემას, მათ გარეშე ალბათ ძალიან დიდ შეფერხებასთან გვექნება საქმე, როდესაც მხოლოდ ერთ თანამშრომელზე მიდგება საქმე, ამით ხალხის გაღიზიანებას გამოიწვევენ და იძულებულები გახდებიან, ეს ქსელი მიატოვონ. ჩვენ სიღნაღიდან მოსულ ხაზის ტექპერსონალს ვერ დავუწყებთ დევნას!“ - ამბობს „სილქნეტის“ ინტერნეტით მოსარგებლე მოსახლეობა.

ჩვენთან კომენტარი გააკეთა თავად ამჟამინდელმა და სერვისცენტრის უკვე გათავისუფლებულმა უფროსმა, ზურა ჯორკოშვილმა, რომელსაც რამდენიმე დღეა, გაუუქმდა ხელშეკულება -„სამი წლის წინ რუსეთში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე, ერთი წელი უმუშევარი ვიყავი, შემდეგ კი, კომპანია „სილქნეტის” სერვისცენტრის უფროსად დამნიშნეს, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთშიც ანალოგიური პროფესიით მქონდა გამოცდილება, აქაც სიამოვნებით განვაგრძე ეს საქმე. ამჯერად მთლიანად გააუქმეს სერვისცენტრის ჯგუფი, შოკში ვარ, პირველი იმიტომ, რომ ჩვენი სამუშაო ძალიან დიდი და შრომატევადი იყო, მთელი დღე სულ გამოძახებები და უბანზე ყოფნა გვიწევდა. დღე ერთი იყო და ათასი რეკავდა დაზიანებაზე, ახლაც ზარი არ წყდება ჩემს ტელეფონზე, მაგრამ, მათი ზარი უკვე უშედეგოა, მე უუფლებო ვარ მათ დასახმარებლად, ხალხი მეცოდება, როგორ უნდა მოაგვარონ ამ კუთხით წარმოშობილი პრობლემები, არ ვიცი. მეორე საკითხია, ის, რომ მე და ჩემი ორი თანამშრომელი უმუშევრები დავრჩით, ახლა სამსახურის შოვნა ადვილი არაა, რით განვაგრძობ არსებობას, მამის პენსიით?! ალბათ, იძულებული გავხდები, ისევ უკან წავიდე, რუსეთში.-ამბობს ზურა ჯორკოშვილი”

ამ დროისათვის კომპანია „სილქნეტს” დედოფლისწყაროში 800 აბონენტი ჰყავს, აქედან 600 ინტერნეტმოსარგებლეა, სერვისცენტრის ჯგუფის გათავისუფლებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მოსახლეობა მასიურად იხსნის ინტერნეტს, მათ სიღნაღის სერვისცენტრთან მიმართვას ურჩევნია, სილქნეტის მომსახურება გააუქმოს და სხვა ქსელზე გადავიდეს. რაც, ცხადია, არ გახლავთ სასურველი გარემოება.

ლალი მეხრიშვილი

ნაქარგებში ჩაქსოვილი ხევსურული ბალადა

როცა ვესტუმრე, ოჯახური საქმეების ფუსფუსში იყო გართული. შვილმა, მინდიამ, დაუძახა, დედა, გეძახიანო. კარში 40 წლამდე ასაკის ქალბატონი გამოვიდა, – ნათია ჭინჭარაული წიკლაურისა. თბილი ღიმილით შემეგება უცხო სტუმარს. უზარმაზარ სახლში სისუფთავე და სიმყუდროვე სუფევდა. დივანზე ჩამოვსხედით და ჩემი სტუმრობის მიზეზი გავაცანი. სიამოვნებით დამთანხმდა და შვილებს: გიორგის, შუქიას და მინდიას თავისი ნაქარგების ჩამოტანა სთხოვა. მათაც მოარბენინეს. ულამაზესი ჟილეტები, ქუდები და ჩანთები, ძველებურ ტომარაზე ამოქარგული ხევსურული ჯვრები და ორნამენტები თვალს ხიბლავს, ეს ჩვენი ტრადიციაა, ქართველობის ნიშა და ჩაკირული ინდივიდუალურობა, რომელიც კი არ უნდა დავივიწყოთ, არამედ განვავითაროთ. ვათვალიერებ ხალხური რეწვის ნიმუშებს და მადლობას ვეუბნები მასპინძელს იმისთვის, რომ ეს ტრადიცია არ დავიწყებულა და მისნაირი ქალების მადლიანი ხელით კვლავ აგრძელებს არსებობას.

-ქალბატონო ნათია, სადაური ხევსური ხართ?

-თელავის რაიონის სოფელ თეთრიწყლებიდან ვარ, გომბორთან ახლოს მდებარე მაღალმთიანი სოფელია, ძალიან ლამაზი და თვალწარმტაცია ჩემი ბავშვობის სოფელი. ხუთი და ვყავდით მშობლებს, მე ნაბოლარა ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს ხუთი შვილი ვყავდით გამოსაზრდელი და მაინცდამაინც შეძლებულად ვერ ვცხოვრობდით, მაინც ლაღი და ბედნიერი ბავშვობა გვქონდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი გადაფასდა, არ გვილხინდა, მაგრამ მაინც ლაღები და უდარდელები ვიყავით. ახლანდელი ბავშვები პირიქით არიან, თუ გაჭირვება აქვს მათ ოჯახს, ითრგუნებიან, არადა, ასე არ უნდა იყოს. ცხოვრებაში მთავარი საზომი სიმდიდრე არაა, მაგრამ ვაი, რომ საზოგადოება გახდა ასეთი. სკოლაშიც კი ვინმეს თუ ძვირფასი მანქანით მშობელი მიაკითხავს, მათდამი სხვანაირი პატივისცემით იმსჭვალებიან, სადას და უბრალოს კი ზედ ვინ უყურებს?! არადა, შეიძლება სწორედ ხელმოკლე ადამიანში იყოს ყველაზე დიდი ადამიანობა ჩაბუდებული.

- საიდან მოდის ამხელა მუზა, რა გაქმნევინებთ ამ ყველაფერს?

- ყველაფერი ერთად, სიყვარული და პატივისცემა ამ საქმისადმი, ტრადიციებისადმი. შვილების, ოჯახის, სამშობლოს სიყვარული. როცა ხელსაქმეს მივუჯდები, რაც უნდა სანერვიულო მქონდეს, წყნარდები და ვმშვიდდები. ქარგვა ბავშვობაში დედამ მასწავლა, მას მერე ამ ხელსაქმის გარეშე არ შემიძლია, სულ ვქარგავდი, დღე ისე არ გავა, რომ არ მივუჯდე და ცოტა მაინც არ მოვქარგო. ადრე ღამეებს ვათენებდი, ახლა მხედველობის პრობლემა მაქვს და ღამე მიჭირს კარგად დანახვა, ვერ წავედი ერთხელ ექიმთან, რომ სათვალე დაენიშნა. ძირითადად ხევსურული ორნამენტებით ვქარგავ, თუმცა, შემკვეთს გაჩნია, იყვნენ აზერბაიჯანელები, რომლებიც ჯვრების გარეშე ნაქარგს ითხოვდნენ, იმისთვის, რომ რეალიზაცია მქონოდა და გამეყიდა, ხშირად დამკვეთის სურვილიც გამითვალისწინებია. ვაკეთებდი ნაქარგებს ჯვრების გარეშე, თუმცა, ხევსურულ ნაქარგებში არცერთი ორნამენტი არაა ჯვრის გარეშე და რთულია, წარმოსახვას მიმართო.

-ნათია,თქვენ ქარგავთ იმისთვის, რომ შემოსავალი მიიღოთ აქედან, თუ უბრალოდ საქმე გიყვარს და ისიც მაინტერესებს, სად ახდენთ თქვენი შემოქმედების რეალიზაციას?

- რა თქმა უნდა, ეს ხელსაქმე მიყვარს, მაგრამ რომ გითხრათ, ახლა ამდენ ნაქარგს სიყვარულის გამო ვქმნი -მეთქი, ცხადია, არ ვიქნები მართალი. ვაკეთებ, რადგან ოთხი შვილი მყავს და მინდა, ქმარს რაღაცით მეც ამოვეშველო, ცოტა საკუთარი ფული მეც მქონდეს. რომ გითხრათ, დედოფლისწყაროს რაიონი მშვენიერი ადგილია რეალიზაციისთვის -მეთქი, ტყუილს ვიტყვი, იშვიათია, უბანში ვინმე ამოვიდეს და მოიკითხოს ნაქარგები, ტურიზმი ნაკლებადაა ჩვენთან განვითარებული და ამიტომ მყიდველიც არაა. მთელი წლის ნაშრომს ვაგროვებ და თბილისში, პარლამენტის შენობის გვერდით ან აეროპორტის მაღაზიებში მიმაქვს, იქ ვაბარებ.

- ამდენ წვალებას და შრომას აქვს კი ფასი?!

- სამწუხაროდ არა, მე თუ ერთ ნამუშევარს ოც ლარში ვაბარებ და მეტს არ მიხდიან, სამაგიეროდ მაღაზია 50 ლარს ამატებს და ერთ ჩემს ოცლარიან ჩანთას 80 ლარად აყიდებს ტურისტებს, ეს ძალიან დიდ უსამართლობად მიმაჩნია, ფაქტიურად, ხევსურულ ნაქარგებს ვინც ვაკეთებთ და ვქმნით, ისინი ვერაფერ მოგებას ვნახულობთ ისეთს, რამდენსაც ჩვენი შრომის ნაყოფით სხვები ნახულობენ მოგებას. ეს უსამართლობაა, მაგრამ მწარე რეალობაა, რომელშიც ჩვენ გვიწევს ყოფნა.

-რაზე ფიქრობთ ხოლმე ქარგვის მომენტში, რა გახსენდებათ ყველაზე მკვეთრად მუშაობის დროს?

-ბავშვობა მასხენდება ყველაზე ხშირად, ყველაზე მეტად მამის მიმართ უსაზღვრო მონატრება მახსენდება. მამა მეცხვარე კაცი იყო და ზამთარში შირაქის ველებზე მოჰყვებოდა ცხვარს. გაზაფხულზე მამას სახლში ჩამოსვლა და დაბრუნება, ყველაზე ემოციურად და მძაფრად მახსენებს ხოლმე თავს. ეს იყო დღესასწაული. ერთხელ ცხენი მომართვა ჩამოსვლისას, მაისში ვარ დაბადებული, თანაც მამამ იცოდა, რომ ცხენები მიყვარდა ძალიან, ყველაზე ლამაზი დაბადების დღე და ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სწორედ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში. ხუთი და ვიყავით და ბიჭი არ ჰყავდათ მშობლებს, მოგეხსენებათ, ხევსურები გოგოს შვილად არ სთვლიან, ბიჭია მათთვის სათვალავი შვილი, მაგრამ მე ვცდილობდი, ოჯახში ბიჭის როლი მეტვირთა და მამისთვის გული გამეკეთებინა, ახალ წელს ყველა თოფს რომ ისროდა, ჩვენ მამა არ გვყვავდა სახლში, გამოვიტანდი მამის თოფს, გავცლიდი ხოლმე და დავაყოლებდი, არავინ თქვას ამ ოჯახში კაცი არ არის, მე ვარ ამ ოჯახში კაცი! როცა მამა სანადიროდ მიდიოდა, თოფს მე ვუმზადებდი, მე ვუწმენდდი იარაღს და დილით ვახვედრებდი. ამ ყველაფრის გახსენება განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს ჩემში.

-რით ცხოვრობთ ყოველდღიურად, რა არის თქვენი სიხარული?

-ჩემი სიხარული ჩემი შვილებია, ორი ბიჭი მყავს, ორი გოგო, შუქია, თეა, მინდია და გიორგი. გოგონები სტუდენტები არიან, ერთი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბიჭები ჯერ სკოლაში დადიან, კარგად სწავლობენ, მათ მიმართ მკაცრი ვარ, დღეში ერთი საათი კითხვის საათი მაქვს დანიშნული, შეიძლება ისე რიგად ვერ ისწავლონ, მაგრამ, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, მომავალში მაინც თავს იჩენს და დაეხმარებათ სწორი ხედვის ჩამოყალიბებაში. მე თავად, ქსოვის იქით ერთადერთი, რაც მიყვარს, კითხვაა, ლიტერატურის კითხვა მიყვარს ძალიან, ბევრი ღამე გამითენებია წიგნის კითხვაში და ამასვე ვითხოვ მათგან.

- სად გაიცანით თეთრწყლებში გაზრდილმა გოგომ დედოფლისწყაროელი ხევსური?

- მოსამზადებლად წამიყვანეს მშობლებმა ქალაქში, სწავლა უნდა გამეგრძელებინა, რომ ჩემი მეუღლე გავიცანი, შემიყვარდა და გამოვყევი, ასე მოვხვდი აქ. ჩემი მხრის ბუნების მერე, აქაურობა ერთ მოშიშვლებულ ტრამალად მომეჩვენა, ბუნება საერთოდ არ გაქვთ, მაგრამ შევეგუე, ახლა ეს ჩემი და ჩემი შვილების სახლია.

-გარდა ქარგვისა და იქიდან მიღებული შემოსავლისა, სხვა რა არის ოჯახის შემოსავლის წყარო?

-ქმარი ტრაქტორზე მუშაობს, ხშირად არაა სახლში, როცა სახლშია, მეხმარება, მაგრამ როცა არაა, ჩემს თავზე ვიღებ, საქონელს ვუვლი, ვწველი, ყველს ვაკეთებ, ხანდახან, თუ მომემხობა, ვყიდი და ესაა ჩემი საქმე, ცოტა შემოსავალი აქედანაც არის და ასე ვცხოვრობთ.

- მაინც რა არის ქალის ხვედრი ამ ცხოვრებაში, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა როლი გვაკისრია ქალებს?

ოჯახის უფროსი მამაკაცია, მაგრამ უახლესმა ისტორიამ გვაჩვენა და დაამტკიცა, რომ, როცა გაჭირდა, ქალმა არანაკლები როლი ითამაშა, გინდ ქვეყნის, გინდ ოჯახების გადარჩენის საქმეში, ქალებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ თუ მოვიწადინეთ, მამაკაცზე არანაკლები შეგვიძლია. ამიტომ, ძალიან სწორია და მივესალმები გენდერულ ბალანსს, თანასწორობა ბევრად უფრო ამარტივებს საქმეს. ერთის ჩაგვრა მეორის ხარჯზე ძალიან დიდ უსამართლობად მიმაჩნია, აქ მთავარი გაგება და ურთიერთპატივისცემაა, როცა ეს ხდება ბალანსიც დაცულია. ქალის ხვედრი მძიმეა, რადგან ქალი, რაც არ უნდა იყოს, მაინც ვერ მოისვენებს, თუ მეტად არ დაიტვირთა თავი, ვიდრე შეუძლია. პროფესიით ექთანი ვარ, შემიძლია ვიმუშავო, მაგრამ არ ვმუშაობ, რადგან ასე მგონია, სახლში შვილებსა და სახლ-კარს ჩემი ხელი ძალიან მოაკლდება. მთელი დღე ვტრიალებ, საქმეში ვარ ჩაფლული. ხელსაქმეს მოვრჩები და ცხვარძროხას ვხედავ, ვაჭმევ ვაბინავებ, მონაწველს ვაბინავებ, მერე შვილებს დავაპურებ და ღამდება კიდეც. იშვიათია ქალი, რომელიც მხართეძოზე წამოწვება და იტყვის, ქმარმა მარჩინოს და ხელის გულზე მატაროსო.

-მრავალშვილინი დედა ყოფილხართ, ოთხი შვილის გაზრდა ხუმრობა საქმე როდია, რაიმე შეღავათი თუ გაქვთ?

-არანაირი , მხოლოდ უფროსმა გოგომ რომ ჩააბარა უმაღლესში, მის სწავლის გადასახადზე 50 %-იანი თანადაფინანსება მოგვცა სახელმწიფომ, დანარჩენი არანაირი შეღავათი არ გვქონია არასოდეს. რა თქმა უნდა, დახმარება რომ იყოს ან დენის გადასახადზე ან სხვა რაიმეზე, დიდი სტიმული იქნებოდა. კი გავდივართ იოლას, მაგრამ ამას არსებობა უფრო ჰქვია, ვიდრე ღირსეული ცხოვრება, ორი სტუდენტი შვილი მყავს, ოთახში, რომელიც დაქირავებული გვაქვს, ექვსნი ცხოვრობენ, რომ იაფი დაგვიჯდეს ქირის გადასახადი, მაგრამ მაინც გადასახადების გარეშე 170 ლარს ვიხდით. თან რჩენაც ხომ უნდათ იქ. არ ვწუწუნებ, ჯანმრთელობა მოგვცეს უფალმა და ყველაფერს დავძლევთ, პატარებიც კარგად სწავლობენ, ვნატრობ, ნეტა იმდენი შევძლო, რომ მათაც ვასწავლო უმაღლესში.

-მომთხოვნები არ არიან, არ თხოულობენ ეს მიყიდე, ის მიყიდეო?

-არა, საერთოდაც არ არიან ასეთები, არაფერს თხოულობენ, ეტყობა, თვითონვე ხვდებიან, რომ რაც გვაქვს მათთანაბრად ვუნაწილებთ საჭიროებისამებრ. მხოლოდ იმას ცდილობენ, ოჯახში უფროსებს რამეში მოგვეხმარონ.

-„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადა“, მინდა წარმატებები გისურვოთ, როგორც ხევსურული რეწვის, ასევე ოჯახის კეთილდღეობასა და შვილების აღზრდა-განათლების საქმეში.

-მადლობა თქვენ, რომ მოხვედით და უბრალო ხალხი მოგვიკითხეთ.

ლალი მეხრიშვილი

სოფიოს ბლოგი

არ ვიცი, როგორ დავიწყო. დაბნეული ვარ. ძალიან, ძალიან მიხარია, რომ დღეიდან ამ გაზეთში ჩემი ჩანაწერები (ასე დავარქმევ) გამოქვეყნდება ხოლმე.

მოგესალმები, ჩემო მკითხველო. შევეცდები, ვწერო მუდამ შენთვის საინტერესო და ამავდროულად, დამაფიქრებელ თემებზე. ასეთი თემები კი მრავლადაა ჩემს გარშემო და ჩემს გონებაში. ფურცელზე გადმოტანილ ამ ფიქრებს, თქვენის ნებართვით, "წაბლის ხის კაფეს ჩანაწერებს" ვუწოდებ.

გაგეცნობი, როგორც წესია: მე სოფიო ვარ, 18 წლის სტუდენტი. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მიყვარს წერა. აქამდე ჩანაწერებს ვაკეთებდი ჩემთვის, ახლა კი მინდა, ჩემი ფიქრები შენც გაგიზიარო. მგონი დროა, დავიწყოთ.

ბოლო ხანებში ინტერნეტში გამოქვეყნდა ცნობილი ინგლისელი ოსკაროსანი მსახიობის, ქეით უინსლეტის ფოტო და წარწერა, რომელსაც იგი ფოტოს ურთავს:

"მე ვიცი, რომ არც ისეთი გამხდარი ვარ, მაქვს მსუქანი ფეხები და ჩემი თმაც ხანდახან საშინლად გამოიყურება.

მას შემდეგ, რაც გავიზარდე და ახლაც, იშვიათად ვისმენ კომპლიმენტებს, განსაკუთრებით ქალებისგან. უფრო ხშირად ვიღებ უარყოფით შეფასებებს, მაგრამ მე ვიცი, რომ ამ შეფასებების უმრავლესობა ისეთი ადამიანებისგან მოდის, რომლებსაც ახარებთ, როცა სხვას ტკივილს აყენებენ.

დღეს მე მსურს, მთელ მსოფლიოს ვაჩვენო ჩემი თავი მაკიაჟის გარეშე. მე ვიცი, რომ კანზე ბევრი ნაოჭი მაქვს, მაგრამ მინდა, დამინახოთ ხელოვნურობის გარეშე, მაკიაჟის მიღმა. მე მსურს, მიმიღოთ ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ და მინდა, თქვენც მიიღოთ და შეიყვაროთ თქვენი თავი ისეთი, როგორიც ხართ!

აჩვენეთ თქვენზე მოსაუბრე ხალხს, რომ თქვენ სრულებით არ ხართ დაკავებული მათი მოსაზრებების განხილვით და არ აქცევთ ყურადღებას მათ, ვინც თქვენს გარეგნობაზე მსჯელობით ერთობა.

მიიღეთ ჩემი სიტყვები, თუ თქვენ გიყვართ საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხართ და არ გინდათ, რამე შეცვალოთ მასში. ადამიანებმა უნდა დაგაფასონ თქვენ, ნამდვილი "თქვენ" და არავინ სხვა!"

რამდენ ადამიანს ვხვდები ბოლო ხანებში. უმეტესად ჩემი ასაკის ბავშვებს ან უფრო უმცროსებს. რამდენ კარგ რამეს ვხედავ თითოეულ მათგანში და როგორ აფუჭებს ამ მშვენიერებას ყველაფერი ხელოვნური. მე მინდა გითხრათ, განსაკუთრებით თქვენ, ბავშვებო, ნუ მიბაძავთ სხვებს, ნუ იქნებით მათნაირნი. დატკბით საკუთარი თავითა და საკუთარი არსებობით. შეიყვარეთ ნაკლი, რომელიც გაქვთ, რადგან სწორედ ეს ნაკლი გხდით განუმეორებლებს. თუკი წარმოიდგენთ, რომ დედამიწაზე მოსიარულე მილიარდობით ადამიანს შორის არ არის თქვენი იდენტური, არ არის თქვენი მსგავსი, საოცარი განცვიფრება და სიხარული მოგიცავთ, მადლიერება შემოქმედის მიმართ, რომ მან ყველაფერში მოგცათ თავისუფლება და ეს თავისუფლება გამხატულია თქვენივე ინდივიდუალიზმში. თუკი შენ დაკარგავ შენს თავს, დაკარგავ შენს განუმეორებლობას, მაშინ შენი არსებობით არც არაფერს შემატებ დედამიწას და არც წასვლით დააკლებ რამეს. სადღაც ამოვიკითხე: "იყავი ის, რაც ხარ. ყველა სხვა როლი უკვე დაკავებულია".

მესმის, რომ ყველა ახალგზარდის ცხოვრებაში არის ეტაპი, როდესაც მას საკუთარ თავში არაფერი მოსწონს და სულ უნდა, სხვას ჰგავდეს. აი, თუნდაც იმ ლამაზთვალება თანაკლასელს, ანდა სწორფეხება მეზობელის გოგოს. რა თქმა უნდა, მეც მქონია ასეთი მომენტი, თანაც ძალიან მძაფრადაც, მაგრამ დგება დრო, როდესაც ბევრ რამეს აანალიზებ და ხვდები, რომ შენ ასეთად გაჩნდი, ასეთი ხარ და უნდა მიიღო შენი თავი ისეთი, როგორიც ხარ. თუ შენ არ შეიყვარებ შენს თავს ყველა შენი დადებითითა და უარყოფითით, მაშინ ვერც სხვას მოსთხოვ, უყვარდე. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, როდესაც ადამიანი იღებს საკუთარ ნამდვილ "მეს" და არ აწუხებს განუხორციელებელი ამბიციები, იგი ეგოიზმისაგან ნაწილობრივ თავისუფლდება. იშორებს ასევე საშინელ კომპლექსებს, რომლებიც ყოველთვის გვიშლის ხელს როგორც სხვებთან, ისე საკუთარ თავთან ურთიერთობაში.

მე არასოდეს მომწონდა ჩემი თმა. ამიტომაც იყო, რომ მუდმივად ვიჭრიდი და ათასგვარ ექსპერიმენტს ვატარებდი მასზე. ახლა ეს უბრალოდ მომბეზრდა. დაე, გაიზარდოს და იყოს ისეთი, როგორიც არის. მე მომწონს ისეთი თმა, როგორიც მაქვს.

შეიყვარეთ საკუთარი თავი და სხვები შეგიყვარებენ თქვენ! ეს აუცილებლად დაგეხმარებათ, იცხოვროთ ჰარმონიულად, პირველ რიგში, თქვენს თავთან.

"ჩვენ ყველას გვაქვს საკუთარი ქალაქი, უბრალოდ არ ვიცით ხოლმე"...

იპოვეთ თქვენი "ქალაქი", იპოვეთ თქვენი სამყარო, სფერო, ყველაფერი ის, რისი კეთებაც სიამოვნებას განიჭებთ. არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ ღვთის უძვირფასესი ქმნილებები ხართ და არ გაქვთ უფლება, არ გიყვარდეთ საკუთარი თავი! როდესაც თქვენში ამ ფასეულობას დაინახავთ, მერე სხვა ადამიანების შეყვარებაც გაგიადვილდებათ, რადგან მათშიც სწორედ ამ "მარგალიტებს" აღმოაჩენთ.

ქეითს მეც არ ჩამოვრჩი. ის ამ ინიციატივის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა თავის კოლეგებსა და ჩვეულებრივ ადამიანებს. მე ვარ სწორედ ასეთი, ყველაფერი ხელოვნურის გარეშე და მიყვარს ჩემი თავი სწორედ ასეთი!

შეიყვარე თავი შენი, ადამიანო,
შეიყვარე,
შეიყვარე,
შეიყვარე...

სოფიო მენთეშაშვილი

მნელია, ერთდროულად იყო წარმატებული ქალი და დედა, მაგრამ, არა ყველასთვის...

„და იყო სიტყვა“ - პოეტ თამარ ნასრაშვილის ლექსების პირველი კრებული

თამარ ნასრაშვილი - ამ სახელსა და გვარს დედოფლისწყაროელი პოეზიის მოყვარულები კარგად იცნობენ გაზეთ „შირაქის“ და „სალბუნის“ფურცლებიდან . ლექსების წერა მე-8 კლასიდან, 15 წლის ასაკში დაიწყო. ეს ის წლებია, როცა ბავშვობიდან გამოღვიძებული სული სიყვარულს ეძებს და ელოდება. მისი პირველი ლექსებიც სიყვარულის, რაღაც ამოუცნობის და მიუწვდომელის ლოდინითაა გაჯერებული , გულწრფელი ემოციებით და ოცნებებით სავსე:

„ამეტორღიალა ისევ ქარი,
სულში მიმეგრება და მახელებს,
მელტვის, მიკიჟინებს-„ის აქ არის“
წეწავს მივიწყებულ სახელებს.
გაბრუებული და არასმენე,
შევდექ სიყვარულის ტამართან,
თუ აქ ხარ, შენი ხმა გამაგონე,
ქარმა სულ მთლიანად გამმარცვა.“

გოგონას თავდავიწყებით უყვარდა ბავშვური ფანტაზიით შექმნილი აბსტრაქტული იდეალი და თავის გრძნობებს ლექსის სტრიქონებში უზიარებდა, მის გვერდით ყოველთვის იყო ის „ვიღაც“ - წარმოსახვითი მეგობარი, რომელიც გოგონას აზრებში სახლობდა და გამოუთქმელ გრძნობებს საიდუმლოდ ინახავდა... და ასე, იდუმალად უყვარდა გაუცნობიერებელი „ვიღაც“ კარგა ხანს, სანამ თავისი ცხოვრების თანამგზავრს გია ლეკაშვილს შეხვდებოდა. მეოცნებე, რომანტიკოსი გოგონა ცოტა ხნით მიწაზე დაეშვა და მეოჯახე დიასახლისის როლი მოირგო. სამი შესანიშნავი შვილი აღზარდა. გოგონები უკვე სტუდენტები არიან. უფროსმა-მარიამმა ფსიქოლოგიის ფაკულტეტი აირჩია, ბარბარემ-მეცნიერება და ხელოვნება. თევდორე 15 წლისაა და მე-9 კლასში სწავლობს. თამარმა ერთგვარი შესვენებების შემდეგ ისევ მოუხმო მუზას და გააგრძელა ლექსების წერა. კვლავაც გაორებულია, თითქოს ბოლომდე არ იხსნება და მინიშნებებით ამბობს სათქმელს. ხან რეალისტია, ხან პესიმისტი, თუმცა რომანტიზმის ხაზი მის შემოქმედებას უწყვეტად გასდევს, აშკარად ატყვია ქართულ მწერლობაში ინდივიდუალობით გამორჩეული სახეების-გალაქტიონის და ტერენტი გრანელის პოეზიის გავლენა. მის ლექსებში ერთდროულადაა სიცოცხლის უეცარი აფეთქება და სასოწარკვეთა , სინათლისა და სიბნელის, უიმედობის და რწმენის მეტოქეობა:

„ჩემივე ჩრდილი ძლიერ მამძიმებს,
ამ ამჩატებულ დროში ვინთქმები,
ჩემო ტერენტი, ვიტოვებ იმედს,
ზეცას მაწვევენ შენი რითმები“...

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა და რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფონზე აღმოცენებულმა არაჯანსაღმა მორალურ-ზნეობრივმა ფაქტორებმა მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა და გადაწყვიტა, თავისი საქმიანობის და შემოქმედების ვექტორი უფლისკენ მიემართა. გალაკტიონის და ტერენტი გრანელის შემოქმედების თაყვანისმცემელმა საეკლესიო ნაწარმოებები შეიყვარა და სკოლაში რელიგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა... გაუჩნდა საკუთარი თავის შეცნობის მცდელობა:

* * *

„ისე დავსუსტდი, ვეღარა ვგრძნობ, რაც იყო ჩემში,
თურმე რწმენაა ამ ცხოვრების თავი და ბოლო
და მაინც, მარტო დავაბიჯებ წვიმაში, თქვეშში...
შენ კი არა და ჩემი თავი მინდა ვიპოვო“.

* * *

„ისე შერწყმია ჩემს სულს,
შენი თვალების ფერი,
ვტოვებ მთლიანად წარსულს,
ვარ უსასრულოდ შენი.
გარემოცული სუსხით,
მზერა მომექცა ცისკენ,
ვეღარ გავუძლებ წუხილს,
მიხსენ, უფალო, მიხსენ... “

თამარს ბევრი ლამაზი ლექსი აქვს, რომელშიც სამყაროს, მოვლენების და საგნების მისეული ხედვა კარგადაა წარმოჩენილი. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ლექსს მისი პირველი კრებულიდან. წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ.

ანა ბენაშვილი



* * *

როს არ მიყვარდი, ის დრო არ მახსოვს,
თითქოს წარსულში ქაოსი დადის,
ოცნების ბაღებს გულუხვად ათოვს
და მეშინია ბოროტი ლანდის...
ო, მეშინია შენი დაკარგვის
და ბოროტ ჩრდილებს გულდაგულ ვუტევ,
ჩემი სიცოცხლის სხივი დაგარქვი
და შენს სიყვარულს ღამეებს გუთევ...

* * *

ირმის რქაზე ჩიტბატონა
იჯდა, როგორც ხის ტოტზე,
აქ ცოტა ხნით იბატონა,
როგორც მწყერმა მინდორზე...
სხვათა შორის გადაფრინდა,
ვითომ აქ არ იყო...
ვერაფერი გაიგო.

* * *

რომ გიპოვო და...
გამიხარდეს.

ფიროსმანი

ცოტა ხნის წინათ აქ მხატვარმა
ითხოვა სიტყვა,
მეშვიდე გრძნობა აუთრთოლდა,
მეცხრე ცას მისწვდა,
აქ რაც დახატა, ყველაფერი მედუქნეს მისცა,
ბეგო მედუქნეც არეის ჯიქით მის
გვერდით იდგა...
თავი მიაურდნო იქვე ჩადგმულ
გამურულ ძელზე,
(უფალი იოს ლოთი კაცის მხსნელი და შემწე...)
ნიკო მხატვარი ჩაიყვანეს მუზეუმი ფსკერზე
და იქ გაანდეს საიდუმლო მათ
ყველა ფერზე.
იქვე მონახა ფიროსმანმა თავისი
ფუნჯი,
აამეტყველა, ააყვავა ფერები
მუნჯი...
გაოცდა ყველა, ჩამოაგდო მედუქნემ დრუნჩი,
კი, ცა ლურჯია, მაგრამ სად ჩანს
ასეთი ლურჯი?...
მეშვიდე გრძნობას, რომ იტყვიან
კვალდაკვალ მიჰყვა,
ის აქ არ იყო, არ ესმოდა არცერთი სიტყვა,
სმენა, თვალები, რაც ებადა, მან
ფერებს მისცა,
ისე დატოვა ეს ქვეყანა, არ გამოფხიზლდა...
მან ხის ფუნჯიც კი არ წაიღო,
ისე წავიდა,
მუნჯმა ჰოეტმა ამ ქვეყნის ზღურბლს გადააბიჯა...
თავის სამკვალეც მან უჩინარ ფერიებს მისცა,
ის ამ სამყაროს, ამ ქვეყანას სულ
გაემიჯნა.

უმოდგომა

შემოდგომა ფოთლებს თავზე მაყრის,
ქარი მიქსოვს ყვითელ წამოსასხამს,
არ მაშინებს სიახლოვე ზამთრის,
უმიზეზო მწუხარება მახლავს.
აღარ მახსოვს, სად მომისწრო ქარმა,
სად დაფეთდნენ მუნჯი ოცნებები,
ან სიცივემ მეტად სად იმძლავრა,
რა მიზეზით დამამტვრიეს ფრთები.
შემციენული ერთ კლდის ძირში
ვდგავარ...
და სიცივეს კვლავ ღიმილით ვხვდები,
რად დამტოვეს მარტო, ვერ მივმხვდარვარ,
ფოთლებმა რად წამიშალეს გზები.
და ცრემლს ისევ გულმოდგინედ
ვფარავ,
მომიშუშდეს ისევ ჭრილობები...
არა, ქარო, უსუსური არ ვარ,
მთებს შევძრავ და ცაში ავიჭრები.
შემოდგომა ფოთლებს თავზე მაყრის,
ქარი მიქსოვს ყვითელ წამოსასხამს,
არა, მე არ მეშინია ზამთრის,
უმიზეზო მწუხარება მახლავს.

მისაბაძი მაგალითი

26 თებერვალს, აკაკი შანიძის დაბადების დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა „ აკაკი შანიძის კოლექცია“ წიგნის პრეზენტაცია. რედაქტორი გახლავთ ზურაბ გაიპარაშვილი, კოლექციის აღწერილობა მოამზადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თამანშრომლებმა მაკა ნუცუბიძემ, მარინე ღვინაძემ და ლია ლომთათიძემ.

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე 1887 წლის 14 თებერვალს დაიბადა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ივანე ჯავახიშვილის მიერ, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებული „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ გამგეობის თავმჯდომარე აკაკი შანიძე გახდა 1911 წელს. სამეცნიერო წრის მთავარი მიზანი იყო ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა და სამეცნიერო კვლევა-ძიება.სხდომები მიმდინარეობდა ქართულად. 1915 წელს სამეცნიერო წრემ, ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისში გამოსცა სამეცნიერო კრებული, სადაც დაიბეჭდა აკაკი შანიძის გამოკვლევაც- „ქართული კილოები მთაში.“

აკაკი შანიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც, -ივანე ჯავახიშვილს მეწინავეობით, უდიდესი ამაგი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასა და ორგანიზებას, მის შემდდომ განვითარებაწინსვლას. იგი შედიოდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში... უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ლექციებს კითხულობდა არაბულ და სომხურ ენებში, 1919 წლიდან ქართულ ენაში და ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას...



აკაკი შანიძე მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე. დიდია მისი წვლილი შოთა რუსთაველის ენის თავისებურებებისა და ლექსიკის კვლევაში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს დიალექტოლოგიაში, ქართულ ფოლკლორისტიკაში, რაც, ფაქტობრივად, მისი დამფუძნებელია. დიდი ხნის განმავლობაში აკაკი შანიძე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამედროვე ქათული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივ მოქმედი სახელმწიფო კომისიისა.

აკაკი შანიძე 1987 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის შვილმა მზექალა შანიძემ მამის პირადი ბიბლიოთეკა 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. ეს არის მისაბაძი მაგალითი. აკაკი შანიძის კოლექცია 1140 დასახელების 2030 საბიბლიოთეკო ერთეულისაგან შედგება. მასში გაერთიანებულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი სამეცნიერო მიმართულების ლიტერატურა. საძიებელი დალაგებულია ანბანის რიგზე. ქართულ ერთეულს მიჰყვება რუსული და უცხოური ლიტერატურა, პერიოდიკა და ამონარიდები.

პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, თსუ რექტორი ლადო პაპავა, აკაკი შანიძის შვილი მზექალა შანიზე, რომელმაც აღნიშნა: მამა პეტერბურგში რომ სწავლობდა, პარალელურად მათემატიკაში სტუდენტებს ამზადებდა, იგი ნამდვილად გლეხის შვილი იყო და ძალიან უჭირდა, მიუხედავად ამისა, წიგნების შეძენაში ფულს არასოდეს ზოგავდა, მისი გატაცება წიგნების ყიდვა იყო, ჩვენს სიმდიდრეს მხოლოდ წიგნები შეადგენდა, რაიმე წიგნი რომ დამჭირდებოდა მამის ბიბლიოთეკიდან რომ წავიღებდი, ყოველდღე მეკითხებოდა, როდის უნდა დააბრუნოო, და დღეს მამას დაბადების დღეზე „ აკაკი შანიძის კოლექცია“ წიგნის პრეზენტაციაა, რომელშიც შეტანილია ყველა წიგნი ,რომელიც უკვე თსუ-სთან მემორანდუმი აქვს გაფორმებული, თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ მადლობა გადაუხადა ასოციაციის თანათავმჯდომარეს ნანა ჭიჭინაძეს, რომელიც ყოველთვის ესწრება თსუ-ში გამართულ ღირსშესანიშნავ ღონისძიებებს. მემორანდუმის თანახმად მწიგნობართა ასოციაცია თბილისში გამართულ კულტურულ ღონისძიებებზე იწვევს თსუ-ს საზოგადოებრივი ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლებს და სტუდენტებს.

პრეზენტაციის მონაწილეებმა თსუ-ს პანთეონში დაკრძალული აკაკი შანიძის საფლავი ცოცხალი ყვავილებით შეამკეს.

მარიკა პოპიაშვილი
თსუ-ს კურსდამთავრებული

ისტორიული ხელშეკრულება „სოკართან“ და კალაძის მკაცრი შეთავაზება „გაზპრომს“

ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, საქართველოს შეუმცირდა “სოკარიდან” შესასყიდი სოციალური გაზის ფასი, ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა “სოკარის” პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კალაძის ინფორმაციით, რამდენიმე შეხვედრის შედეგად, აზერბაიჯანის მთავრობამ და კომპანია “სოკარის” ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დამატებითი მოცულობის საქართველოსთვის უშუალოდ ე.წ. შაჰდენიზიდან მოწოდების შესახებ.

“ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა ექნება მომავალი წლების განმავლობაში დამატებით 500 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიიღოს აზერბაიჯანიდან. მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანის მხარემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ტექნიკური შეზღუდვის გამო არსებული პრობლემა აღმოეფხვრა და მათი მხრიდან დამატება შესაძლებელი გახდა, სამხრეთ-კავკასიური, იგივე „შაჰდენიზის“ მილსადენის საშუალებით. ჩვენ ვაფასებთ და სრულად ვაანალიზებთ იმ პარტნიორულ, კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ჩვენი მეგობრების მხრიდან, მათ მუშაობას იმისთვის, რომ მოეძებნათ საშუალება კომპანია “სოკარისთვის” გაეზარდათ შემოსატანი გაზის მოცულობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად შემცირდა “სოკარიდან” შესასყიდი სოციალური გაზის ფასი. გარდა ამისა “სოკარი” მზადყოფნას გამოთქვამს 35-40 დოლარით შეამციროს გაზგასამართი სადგურებისთვის მიწოდების ფასი. მიმდინარე შეთანხმებები არის ნათელი დემონსტრირება იმ მეგობრობის და კეთილმეზობლური დამოკიდებულების და საერთო სტრატეგიული ინტერესების, რაც აკავშირებს ჩვენს ქვეყნებს, რაც ურყევი და შეუცვლელია მომავალში”, - განაცხადა კალაძემ.

“სოკარი” საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას განაგრძობს, - ამის შესახებ “სოკარის” პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში ვიცე პრემიერ, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც როვნაგ აბდულაევმა აღნიშნა, კომპანია “სოკარი” წლებია საქმიანობს საქართველოში და 10 წელია, დიდ ინვესტიციას ახორციელებს.

“სასიამოვნოა, რომ ჩვენი ეს პარტნიორობა კიდევ უფრო განახლდა და გვაქვს მომავლის ხედვები. გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს სტაბილურად საქართველოს გაზმომარაგებას”, - განაცხადა აბდულაევმა.

კალაძის თქმით, “სოკართან” გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, ირანიდან ბუნებრივი აირის შემოტანის საჭიროება აღარ არსებობს. მინისტრის განმარტებით, ქართულმა მხარემ ირანთან პარალელურად მოლაპარაკება იმის გამო დაიწყო, რომ მიმდინარეობდა საუბარი აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის მოწოდების ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით.

“გვქონდა შეხვედრა, ვისაუბრეთ იმაზე, რამდენად იყო შესაძლებელი წამოგვეღო ირანული გაზი. თეორიულად ამის შესაძლებლობა არის, თუმცა დღეს ამის საჭიროება არ არსებობს. ჩვენ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანასთან, კომპანიასთან გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ბუნებრივი აირის მოწოდებას და ბაზრის დაკმაყოფილებას”.

რაც შეეხება “გაზპრომის” თემას, ვიცე-პრემიერის განცხადებით, ქართულმა მხარემ “გაზპრომს” ძველი კონტრაქტის პირობებში დარჩენა შესთავაზა.

“გაზპრომთან” მიმდინარე მოლაპარაკებები არ არის დასრულებული, შესაბამისად, ხელშეკრულებაც არ არის გაფორმებული.

“ჩვენ რამდენიმე ხნის წინ გადავუგზავნეთ ჩვენი ბოლო შეთავაზება, რომლის პირობებია ის, რომ დავრჩეთ ისევ ძველი კონტრაქტის პირობებში ანუ 10% ბუნებრივი აირი ნედლეულის სახით მივიღოთ”, - განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობები ამ ეტაპზე საჭიროებას არ წარმოადგენს. “საქართველო მომავალი წლების განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით, რაც იქნა გაჟღერებული”, - განაცხადა კალაძემ.

ამას გარდა, კალაძე გამოეხმაურა “ნაციონალური მოძრაობის” მიერ 6 მარტს, “გაზპრომის” წინააღმდეგ დაგეგმილ აქციას.

“მე მგონი, შეცვალეს თავისი ჩანაფიქრი. ახლა ევროპულ ქვეყნებში გადავიდნენ, რადგან თქვენ იცით, რომ ევროპას ძირითადად “გაზპრომი” ამარაგებს და “ნაციონალურმა მოძრაობამ” გააკეთა მობილიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით. ისინი აპირებენ ევროპულ ქვეყნებში ჯაჭვის გაკეთებას”.

ნიკოლოზი, თემური, მზია ქენქაძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ეთერი და მაკა ყველაშვილებს მეუღლის და მამის

ელიოზის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეთერ ყველაშვილი, შვილი მაკა, შვილიშვილი მარი, ცოლის ძმა მიშა ჩოქური, ცოლისძმისშვილი მერაბ ჩოქური ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით, იუწყებიან

ელიოზ ყველაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 5 მარტს ქ. დედოფლისწყაროში.

პრობლემა ერთობლივი გზით გვარდება

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კახეთის ხუთ მუნიციპალიტეტში მინდვრის თაგვთან საბრძოლველად თუთიის ფოსფიდი უფასოდ რიგდება. ჩვენ დავინტერესდით, როგორ მიმდინარეობს შხამქიმიკატის გაცემის პროცესი და რამდენად კმაყოფილია ადგილობრივი მოსახლეობა. ვინაიდან სურსათის სააგენტო ჯერ კიდევ დეკემბერში აპირებდა პრეპარატის გაცემას, შევეცადეთ გაგვერკვია, ხომ არ აღმოჩნდა მიწათმოქმედებისთვის დაგვიანებული შხამქიმიკატის მარტის დასაწყისში დარიგება და რამდენად მოასწრებს მისი გაშლა სასურველი შედეგის მიღებას.

შირაქის ველებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატთან, შალვა თეთვაძესთან ერთად ვეწვიეთ... ის ადგილობრივია და რომ არა მისი პროფესია და უდიდესი გამოცდილება, ამის გარეშეც კარგად იცნობს დედოფლისწყაროს თითო გოჯ მინას და, ზოგადად, ჩვენს რაიონში, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებს. მანქანიდან გადასვლისთანავე ვპოულობთ სოროებთან დახოცილ თაგვებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ მავნებელ მღრღნელთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს. სოროებიც მრავლად გვხვდება. ბატონი შალვა თეთვაძე გვიხსნის, რომ თაგვი არა მხოლოდ მინაში არსებულ მარცვალს ანადგურებს, ზემოდან მწვანე საფარსაც მშვენივრად ჭამს. ის გადაძოვილ ადგილებს გვიჩვენებს.

შალვა თეთვაძე იმ გარემოებაზეც მიგვანიშნებს, რომ გასულ წელს მოსული უხვი მოსავლის შემდეგ დედოფლისწყაროში ხორბალი უპრეცედენტოდ დიდ ფართობზე დაითესა. მისი თქმით, 50 წლიანი გამოცდილების მიუხედავად, ამხელა ფართობზე მხოლოდ ხორბლის თესვის შემთხვევა არ ახსოვს. მისი ვარაუდით წელს დაახლოებით, 40 000 ჰა ხორბალი და ქერი დაითესა.

ნაკვეთებში მომუშავე ფერმერები ამბობენ, რომ ამჯერად სახელმწიფოსგან მიღებულ პრეპარატს შლიან, თუმცა ნაკვეთები მანამდე საკუთარი ძალებით ორჯერ უკვე შეწამლეს. ისინი იქვე იმასაც აღიარებენ, რომ გასული წლებიდან შემორჩენილი, ძველი და შედარებით სუსტი ფოსფიდის გამოყენება უწევდათ. ახლა კი საკმაოდ ძლიერმოქმედი შხამქიმიკატით შეწამლეს, რაც ბევრად უფრო ეფექტურია.

შალვა თეთვაძე: „ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ზამთარში თოვლი და ყინვა თაგვის გავრცელებას აფერხებს, მაგრამ თოვლი ამ პრობლემას ვერ გადაჭრის. მოგეხსენებათ, წელს ზამთარში ჩვენთან იმხელა თოვლი და ყინვები არ ყოფილა, რომ შედეგი მოეტანა. თუ დიდი ნალექი მოვიდოდა, შემდეგ ის დნობას დაიწყებდა და მღრღნელი სოროში გაიყინებოდა. წელს თაგვის დიდი მოზღვავება იყო, ამიტომ ყველა ფერმერი მზად უნდა იყოს ამისათვის და დროულად ებრძოლოს. ყველა ნაკვეთის დამუშავება არ ხდება ხოლმე და ამიტომაც პრობლემა ისევ იჩენს თავს. ადრე, როცა ნაკვეთები იხვნებოდა, გუთნებს უკან ყვავების დიდი რაოდენობა დაჰყვებოდა ხოლმე, ისინი მარცვალს ანადგურებდნენ. ახლა კი ერთ ყვავსაც ვერ ნახავთ ამხელა ველზე. პერიოდულად, თვითონ ბუნებაში ხდება ცვლილება. რაც შეეხება თაგვთან ბრძოლის დაგვიანებას და პრეპარატის გვიან შემოტანას. ცნობილია, რომ ქვეყანაში მარაგი არ იყო და ვიდრე ინდოეთიდან შემოიტანდნენ, პროცესი დროში გაიწელა.

ის ნაკვეთები, რომლებიც გვიან დაითესა, მათთვის ახლა შეწამვლა დაგვიანებული არ იქნება, მაგრამ ვინც მარცვლეული ოქტომბერში დათესა, მათთვის სახელმწიფო დახმარება უკვე დაგვიანებულია და ორჯერ-სამჯერ დამოუკიდებლად ჩატარებული აქვთ წამლობა. თუთიის ფოსფიდი მართლაც უებარი საშუალებაა, სააგენტოს რომ არ გაეცა, სხვა შემთხვევაში ამდენად ხარისხიანი პრეპარატის გამოყენება ვერ მოხდებოდა. თითქმის ყოველდღიურად მინდორში დავდივარ და მინდა გითხრათ, რომ ბოლო ერთი კვირაა, მასიურად გამოსულია ხალხი და ნათესებს წამლიან. რაც შეეხება ამინდებს, ამ დროამდე კარგი ამინდები იყო და საკმარისი ნალექი მოვიდა, მაგრამ, აპრილსა და მაისში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია და თუ ამ თვეებშიც ნალექი იქნება, უხვმოსავლიანობა გარანტირებული იქნება. მთავრობის ჩარევით შედგა „სოკართან“ მოლაპარაკება და გაჩერებული აზოტის ქარხანა რუსთავში მალე ისევ ამუშავდება, რაც უფრო ხელმისაწვდომს გახდის ნათესებში სასუქის შეტანას. ადამიანი უმადური არ უნდა იყოს, სასოფლო სამეურნეო ბარათების გაცემაც დიდი შელავათია მცირემიწიანი ფერმერებისთვის. გულდასაწყვეტია ისიც, რომ გასულ წელს ქარსაფარი ზოლების დიდი ნაწილი გადაიწვა და ამაში ფერმერების წვლილიც არის. შედეგი კი ისაა, რომ დღემდე არავინ დასჯილა. გააქტიურდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ნაკვეთების გადაწვა აიკრძალოს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აკრძალვა ვერ გაამართლებს და სახელმწიფო ვერც გააკონტროლებს. თუმცა, ცხადია, რომ რაიმე გზები უნდა გამოინახოს, რომ ეს პრობლემა დაიძლიოს. ვფიქრობ, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა უფრო მეტად უნდა იაქტიუროს. რაც მეტი ჯარიმა დაიწერება და მეტი ადამიანი დაისჯება, დისციპლინა გაუმჯობესდება“.

ელიზბარ იმერლიშვილი: (ფერმერი) „თაგვი ბუნებრივად ჩნდება ხოლმე. 6-7 წლის წინ ძალიან ბევრი თაგვი იყო, რომელიც ბუნებრივად მოისპო. ჩვენ კი ვებრძვით, მაგრამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ეს არ კმარა, ბუნებრივად უნდა განადგურდეს. ბოლო 4-5 წელია, ეს პრობლემა აღარ გვქონია. წელს კვლავ კატასტროფული მომრავლება შეინიშნება. მისასალმებელია, რომ სააგენტომ პრეპატარის გაცემა დაიწყო. მანამდე საკუთარი ძალებით ვებრძოდით და მიუხედავად იმისა, რომ 3-4 ჯერ უკვე შევწამლე, მინდვრის თაგვს მაინც ვერ მოვერიე და ისევ მრავლდებოდა. ახლა ყველაზე ეფექტური საშუალება, თუთიის ფოსფიდი დარიგდა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი საშუალებაა და ძალიან ეფექტური. მანამდე ხელმისაწვდომი არ იყო და სხვა პრეპარატის გამოყენება ხდებოდა, ამიტომაც არ ახდენდა სათანადო ეფექტს. რა თქმა უნდა, მარტში თაგვთან ბრძოლა ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ ვისაც საშუალება არ ჰქონდა და სათანადო ღონისძიებები მანამდე ვერ გაატარა, მათთვის შედეგის მომტანი მაინც იქნება. ის ეფექტი არ ექნება, რაც დროულად ბრძოლის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ, კარგია, რომ ყველა კატეგორიის მოქალაქეს მიეცა საშუალება, პრეპარატი ნაკვეთში შეიტანოს. მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით აღმოიფხვრება პრობლემა, თორემ, შესაძლებელია მეზობელი ნაკვეთიდან მღრღნელი ისევ გავრცელდეს“.

ილია მარტყოფლიშვილი

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ამ დღეებში გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესორ ედიშერ რუსიშვილის კლასის სტუდენტები: ლიზი ვერხვიაშვილი, ნათია ნატროშვილი, თამთა მაღრაძე, ლექსო პირმისაშვილი და ეკა ბოკუჩავა, სტუდენტებმა მაღალ პროფესიულ დონეზე შეასერულეს პროკოფიევის, რახმანინოვის, შუმანის, მენდელოსნის და ლისტის საფორტეპიანო ნაწარმოებები, მსმენელი ხაგრძლივი აპლოდიმენტებით აჯილდოვებდა ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტებს.

კომენტარი ვთხოვე ცნობილ ადამიანებს:

თაკო ჩარკვიანი: დღეს მსმენელის წინაშე სტუდენტები წარსდგნენ ბრწყინვალე რეპერტუარით მაღალპროფესიული შესრულებით, თითოეულმა მათგანმა გაათვითცნობიერა მუსუიკალური ნაწარმოების მთავარი არსი და სული.

ლაურა იაშვილი - ზ. ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლის დირექტორი: ნათია ნატროშვილს პირველი კლასიდან მეცხრე კლასის ჩათვლით ვასწავლიდი, ხოლო 10-11 კლასში ედიშერ რუსიშვილის კლასში სწავლობდა, ნათია ძალიან ჭკვიანი, გონიერი, მშრომელი, მტკიცე ნებისყოფის ბავშვი იყო, იგი ნამდვილად სცენისათვის არის დაბადებული. მე დღმდე ვადევნებ თვალსა მის მუსიკალურ ერუდუციას, ნათია არის ნამდვილი განძი მუსიკის განვითარების გზაზე.

თემურ ჩალაბაშვილი - საკონცერტო აფიშაზე ნათია ნატროშვილის გვარი რომ ამოვიკითხე, ყველა საქმე გადავდე და კონსერვატორიაში დავესწარი საფორტებიანო მუსიკის კონცერტს. ნათიამ ბრწყინვალედ დაუკრა რახმანინოვის ვარიაციები კორელის თემაზე, იგი ჩემი მეგობრის ლერი ჩერქეზიშვილის შვილიშვილია, ნათიას ფესვები ქიზიყშია და მეც, როგორც ქიზიყელ კაცს, მეამაყება, რომ რუსთაველის აფორიზმი „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ აბსოლუტურად მიესადაგება ნათიას ფენომენს.

ქეთი პოლიკაშვილი - „ ნათიას კონცერტებს ბავშვობიდან ვესწრები და მისი პროფესიული ზრდის მომსწრე ვარ. მისი შესრულების მოსმენა ჩემთვის განსაკუთრებულად ემოციურია, რადგან პირველი ჰანგებისთანავე ვგრძნობ მის გადასვლას მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში და მეც, მის მსგავსად, ვიძირები იმ საოცარ გრძნობებში, და დროდადრო მაფხიზლებს შიშნარევი ფიქრი მალე არ დამთავრდეს, მალე არ დამთავრდეს ეს ჯადოქრობა..“

მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით მონუსხული მსმენელი კმაყოფილი ტოვებდა დარბაზს, რომელთა შორის მრავლად ესწრებოდნენ დედოფლისწყაროელები, რომლებიც სპეციალურად ნათიას მოსასმენად იყვნენ მოსული.

ნანა ჭიჭინაძე

ულოცავენ!

ნინო წელაურს!

ძვირფასო მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ოჯახის სიმრთელეს და ბედნიერებას. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგაკლდეს შენ და შენს ქმარ-შვილს. კვლავაც მრავალ გაზაფხულსა და ქალთა დღეებს დაესწარი.

სიყვარულით,
ნელი გოგეჯიშვილი და ნაირა გორაშვილი

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქ N62-ში , საავადმყოფოს ქვემოდან, არმისული ბამის ტერიტორიაზე, ყოფილი ოლიფის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ინკუბატორი „ქარიშხალა“ გთავაზობთ ქათმის და იხვის ერთდღიან, ორკვირიან , სამკვირიან წიწილებს. ინკუბატორი ფუნქციონირებას იწყებს 1მარტიდან. სანარმოში უმაღლეს დონეზეა დაცული სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები და დამონტაჟებულია სტანდარტით შესაბამისი ინკუბატორის საჩეკი დანადგარი, სადაც ასევე დაცულია ტენიანობა და ტემპერატურის რეჟიმი. გარდა წიწილის შეძენისა , შეგიძლიათ მოიტანოთ იხვის, ქათმის, ბატის, ინდაურის, ციცარის, ხოხბის კვერცხები. გისურვებთ წარმატებებს.საკონტაქტო ტელეფონებია:

557 57 16 65; 555 11 00 65; 599 18 00 65.

საქართველოს პირადი პირველობა სამბოში



2016 წლის 26-29 თებერვალს, ძიუდოს აკადემიის დარბაზში, გაიმართა საქართველოს პირადი პირველობა სამბოში ჭაბუკებსა(1998–1999) და ახალგაზრდებს(1996–1997) შორის. 52 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ვაჟა ბუბუნაურმა. ხოლო 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვა ბექა ნათათრალაშვილმა . მან ხუთი შეხვედრა იჭიდავა და დამსახურებულად იზეიმა გამარჯვება. ბექა მიმდინარე წლის 7-11 აპრილს საფრანგეთში გამართულ ევროპის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ორივე სამბისტს კახა წიკლაური ავარჯიშებს.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.03		სამშაბათი 08.03		ოთხშაბათი 09.03		ხუთშაბათი 10.03		პარასკევი 11.03		შაბათი 12.03		კვირა 13.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	6°	4°	6°	5°	8°	6°	8°	5°	7°	6°	7°	6°	4°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.